



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო



act



Empowered lives.
Resilient nations.

2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)

კვლევის ანგარიში მომზადებულია „ეისითის“ მიერ, საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის

დეკემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

კვლევის ანგარიში შედგენილია და გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გაეროს
განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.



შინაარსი

1. შესავალი	3
2. მონაცემთა წყარო და მეთოდოლოგია	4
3. ძირითადი მიგნებები	5
4. კვლევის შედეგები	7
4.1 კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები.....	7
4.2 მიმდინარე საქმიანობა	15
4.3 სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება.....	27
4.4 კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი.....	30
დასკვნა	33

1. შესავალი

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფესიული განათლების ხარისხი და ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობას, შედეგად იგი უკვე აღქმულია, როგორც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელისშემწყობი ფაქტორი. აღნიშნულზე მიუთითებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებისთვის და პროვაიდერებისთვის პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებაზე ორიენტირებული სამომავლო სტრატეგიების, ხედვებისა და აქტივობების დაგეგმვის მიზნით მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევის უზრუნველყოფა, რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტებს, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს სანდო და ვალიდური კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ დროის გარკვეულ პერიოდში პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა საქმიანობაზე, ხოლო კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები საფუძვლად დაუდონ პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული პროექტებისა თუ აქტივობების განხორციელებას.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების მრავალმხრივ გამოყენების შესაძლებლობისა და ზოგადად, კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study), რომელიც წარმოადგენს სამიზნე ჯგუფის ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ რეტროსპექტიულ ხედვას, ასევე შედეგების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური; დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში დასაქმების კუთხით. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

2. მონაცემთა წყარო და მეთოდოლოგია

კურსდამთავრებულთა კვლევა მოიცავს ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში.

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება) დაკავშირებით პერსონალური ინფორმაციის შეგროვება; პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში;
- სწავლის გაგრძელების შემთხვევაში კავშირი მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციასთან; სწავლის შემდგომ დასაქმების შესახებ ინფორმაცია (კომპანია/ორგანიზაცია, კავშირი მინიჭებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაოს მოძიების საშუალებები, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და დასაქმებით კმაყოფილება, სამუშაოს სტაბილურობა);
- სწავლის შემდგომ საკუთარი ბიზნესის/საოჯახო ბიზნესის/თვითდასაქმების შესახებ ინფორმაცია (კომპანია/ორგანიზაცია, კავშირი მინიჭებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაოს მოძიების საშუალებები, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და დასაქმებით კმაყოფილება, სამუშაოს სტაბილურობა);
- სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია (უმუშევრობის მიზეზი, სამუშაოს ძიების მოტივაცია);
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებმაც განაპირობა ცვლილებები (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება);
- საგანმანათლებლო ინტერვენციის ეფექტურობის შეფასება;

კურსდამთავრებულთა კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს, რომელიც ადმინისტრირებულია სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით.

კურსდამთავრებულთა კვლევის მოცემული ეტაპი ჩატარდა 2019 წლის ნოემბერში და გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 704 კურსდამთავრებული.

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა სრული მონაცემთა ბაზიდან შემთხვევითი პრინციპით. რეგიონისა და პროფესიული მიმართულებით რეპრეზენტატული მონაცემების მიღების მიზნით მოხდა შერჩევის ბაზის წინასწარი სტრატეგიცირება პარამეტრით: რეგიონი და პროფესიული მიმართულება.

3. ძირითადი მიგნებები

- გამოკითხულთა უმრავლესობა 82% ახლა რომ აზარებდეს, აირჩევდა იგივე პროფესიას, ხოლო იმ რესპონდენტებში (18%), რომლებიც შეიცვლიდნენ პროფესიას თითქმის ნახევრის (48%) მიერ მიზეზად დასახელდა სხვა პროფესიით დაინტერესება. ხსენებული მაჩვენებლები იდენტურია 2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების.
- პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში სწავლის შეწყვეტაზე უფიქრია გამოკითხულთა მხოლოდ 7%-ს (56 რესპონდენტი). მათგან ყოველი მეხუთეს მიერ (21%) მთავარ მიზეზად დასახელდა უბრალოდ არ მოწონება/დაბალი ხარისხის სწავლება, დასაქმების შესახებ 18%-მა მიუთითა, ხოლო ოჯახური მდგომარეობა (მაგ. მცირეწლოვანი ბავშვის ყოლა, დაოჯახება და სხვ.) 16%-მა.
- 2018 წლის კურსდამთავრებულთა 89% ხელახლა ჩაბარების შემთხვევაში ისევ იგივე პროფესიულ სასწავლებელს აირჩევდა, სასწავლებელთან მიმართებაში უკმაყოფილებას გამოთქვამს ყოველი ათი გამოკითხულიდან ერთი კურსდამთავრებული (11%) და აღარ აირჩევდა იგივე სასწავლებელს. მათგან ნახევარი (50%) მიზეზად ასახელებს სწავლების დაბალ დონეს, ყოველი მეოთხე (25%) პრაქტიკის კომპონენტის დაბალ დონეს, ხოლო 19%-სთვის მასწავლებლების არაკვალიფიციურობაა იგივე პროფესიულ სასწავლებელზე უარის თქმის საფუძველი. 2017 წლის კურსდამთავრებულებში კი 92%-მა გამოხატა იგივე პროფესიული სასწავლებლის არჩევის მზაობა.
- პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა გამოკითხულთა 38%. თვითდასაქმებული იყო 12%, ხოლო უმუშევარი - 29%. დარჩენილი 27% სწავლით იყო დაკავებული.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაშია ჩართული: მათგან ნახევარზე მეტი (52%) დაქირავებით დასაქმებულია, ყოველი მეათე (11%) კი თვითდასაქმებულია. გამოკითხულთაგან თითქმის მესამედი (31%) დაუსაქმებელია. 8% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 3% - პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- დასაქმების კუთხით, გამოკითხულ მამაკაცებში უკეთესი მდგომარეობაა და მათგან 59%-მა განაცხადა, რომ დაქირავებით დასაქმებულია, მაშინ როდესაც ქალების 43%-ია დაქირავებული მუშაკი.
- მათ შორის, ვინც მიმდინარე ეტაპზე სწავლობს უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე (ჯამში გამოკითხულთა 8%), უმრავლესობა (61%) აღნიშნავს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა არ არის დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან.


- დაქირავებით დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (47%) აღნიშნავს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ საქმიანობასთან, მეხუთედისთვის (20%) ნაწილობრივ კავშირშია, ხოლო მესამედისთვის (34%) არანაირი კავშირი არ არსებობს.
- დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტმა (57%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, 40%-ს დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ნათესავი ან ოჯახის წევრი, ხოლო გამოკითხულთა თანაბარ რაოდენობას დაეხმარა კოლეჯი (15%) და სამსახური შესთავაზეს იქ სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას (15%).
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილება თავიანთი სამსახურით საკმაოდ მაღალია და მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი სამსახურით. 61% კმაყოფილია ამჟამინდელი სამუშაოთი, ხოლო 32%-მა ნაწილობრივი კმაყოფილება გამოხატა.
- თვითდასაქმებულთა უმრავლესობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს და მათგან 44%-მა მიუთითა პირდაპირი კავშირის შესახებ, მეოთხედმა (24%) ნაწილობრივი კავშირი დაადასტურა, ხოლო 32%-ის განცხადებით თვითდასაქმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არანაირ კავშირში არ არის მათ მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 31% (228 რესპონდენტი) ამჟამად დაუსაქმებელია და მათი უმრავლესობა (62%) ეძებს სამუშაოს.
- დაუსაქმებელთა 38% (88 რესპონდენტი) არ ცდილობს სამუშაოს დაწყებას და უმთავრეს მიზეზებად ასახელებენ; ოჯახური პირობების არქონას (49%), სწავლის გაგრძელებას (17%) და სამსახურის მოძებნის სურვილის არქონას (14%).
- კურსდამთავრებულთა 46% გეგმავს სწავლის გაგრძელებას, მესამედი (33%) არ გეგმავს, ხოლო მეხუთედს (20%) ჯერ არ გადაუწყვეტია.
- იმ ცოდნასა და უნარებში, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ კურსდამთავრებულები, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა უცხო ენის ცოდნა (91%), პროფესიული პრაქტიკული უნარები (88%) და პროფესიის თეორიული ცოდნა (84%)
- იმ ასპექტებს შორის, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა ყველაზე მაღალი სიხშირით (76%), მას შემდეგ დასახელდა პრაქტიკული კურსები (62%), საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა (47%) და სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა (45%).
- გამოკითხულთა 62%-ის აზრით, პროფესიული განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა, ნაწილობრივ იზიარებს ამავე მოსაზრებას კურსდამთავრებულთა მესამედი (33%), ხოლო 6% ფიქრობს, რომ პროფესიული განათლების მიღება არ ახდენს გავლენას დასაქმების შესაძლებლობებზე.
- პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელია 62%. მათ შორის, ქალი გამოკითხული რესპონდენტებიდან 54%-ია დასაქმებული, ხოლო მამაკაცებში დასაქმება უფრო მაღალია და 70%-ს შეადგენს.

4. კვლევის შედეგები

4.1 კურსდამთავრებულთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები.

2019 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 704-მა კურსდამთავრებულმა. მათ შორის იყო 53% (254) კაცი, ხოლო 47% (450) ქალი.¹ გამოკითხულთა 97% ეროვნებით ქართველია, 1% სომეხი, ხოლო 2% სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მათგან უმრავლესობას (82%) არ აქვს რაიმე ტიპის სოციალური სტატუსი. სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონეა გამოკითხულთა 9%, 6% კი იძულებით გადაადგილებული პირია. რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე, რესპონდენტთა მიერ მიღწეული განათლების უმაღლეს დონეს, ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილი არიან საშუალო (12 კლასი) განათლების მქონე კურსდამთავრებულები (39%), თითქმის მესამედი (30%) უმაღლეს განათლებას ფლობს, 17%-ს პროფესიული განათლება ჰქონდა მიღებული, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილს (15%) - მხოლოდ 9 კლასის განათლება.

გრაფიკი # 1 რესპონდენტების სქესი, ასაკი, ეროვნება, სოციალური სტატუსი, მიღწეული განათლების დონე



¹ გამოკითხულთა განაწილება სქესის მიხედვით არ შეესაბამება პოპულაციაში არსებულ განაწილებას ქალების მაღალი გამოკასუხების გამო. ანალიზის პროცესში განხორციელდა მონაცემთა შეწონვა, რის საფუძველზეც კვლევის შერჩევაში მოხდა ბუნებრივი პროპორციის აღდგენა.

გამოკითხულ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის ყველაზე დიდი წილით არიან წარმოდგენილი ინჟინერიის (152) მიმართულების კურსდამთავრებულები. მიმართულებათაშორის დარგები ან სპეციალობები დამთავრებული აქვს 94 რესპონდენტს, თანაბრად 93 გამოკითხულს ბიზნესის ადმინისტრირება და ხელოვნება, ჯანდაცვა 92-ს, ხოლო აგრარული მეცნიერებანი 89 რესპონდენტს. მიმართულებების მიხედვით სქესის ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება და სოციალური მეცნიერებების, ხელოვნების და ჯანდაცვის მიმართულების გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შორის 92% და მეტ შემთხვევაში ქალები არიან წარმოდგენილი, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობების კურსდამთავრებულებში თანაბრად (50%-50%) არიან განაწილებული ქალები და მამაკაცები, ინჟინერიის მიმართულებაში კი მნიშვნელოვნად მაღალია (83%) მამაკაცების რაოდენობა.

ცხრილი #1 კურსდამთავრებულთა განაწილება მიმართულებების მიხედვით სქესისა და ასაკის ჭრილში

მიმართულება	სულ	სქესი		ასაკი						
		მდედრობითი	მამრობითი	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+
		აგრარული მეცნიერებანი	89	52%	48%	11%	40%	10%	6%	9%
ბიზნესის ადმინისტრირება	93	71%	29%	3%	32%	22%	15%	8%	9%	12%
განათლება	45	100%	0%	0%	16%	27%	7%	18%	13%	20%
ინჟინერია	152	17%	83%	21%	29%	10%	13%	13%	5%	9%
მეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	10	0%	100%	0%	20%	30%	30%	10%	0%	10%
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	94	50%	50%	8%	37%	22%	15%	5%	2%	11%
სამართალი	13	41%	59%	0%	63%	24%	7%	7%	0%	0%
სოციალური მეცნიერებები	23	95%	5%	0%	40%	30%	17%	0%	4%	9%
ხელოვნება	93	92%	8%	5%	23%	20%	15%	17%	6%	13%
ჯანდაცვა	92	93%	7%	0%	37%	18%	19%	6%	6%	13%




იმ ფაქტორებს შორის, რომელთაც გავლენა ქონდათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების გადაწყვეტილებაზე, ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა (საშუალო-4.73), პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა (საშუალო-4.55), პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი და თეორიული სწავლების პარალელურად პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობა (თანაბარი საშუალო-4.48). აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ფაქტორთაგან პირველი სამი, (საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა, პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა და პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი) 2017 წლის კურსდამთავრებულთათვისაც ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა.

ცხრილი #2 ფაქტორები, რომელთაც ქონდათ გავლენა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას (შეფასება 5 ქულიან სკალაზე)

	2018 წლის კურსდამთავრებულები	2017 წლის კურსდამთავრებულები
საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა	4.73	4.71
პროფესიული ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა	4.55	4.6
პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი	4.48	4.5
თეორიული სწავლის პარალელურად პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობა	4.48	N/A
პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა/სწავლა უფასოა	4.35	4.36
პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის პრესტიჟულობა	4.23	4.16
დასაქმების რეალური შესაძლებლობა	4.03	3.8
პროფესიულ პროგრამაზე სწავლის სიმარტივე	3.78	3.55
პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების სიმარტივე	3.72	3.49
საკუთარი ბიზნესის დაწყება/განვითარება	3.61	
მშობლების/ახლობლების რჩევა	3.55	3.3
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე	3.46	3.16


2018 წლის კურსდამთავრებულთაგან 7%-ს (56 რესპონდენტი) პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე, (ხსენებული მაჩვენებელი, ისევე როგორც გამომწვევი მიზეზები იდენტურია 2017 წლის კურსდამთავრებულთა შემთხვევაშიც). მათგან ყოველი მეხუთეს მიერ (21%) მთავარ მიზეზად დასახელდა უბრალოდ არ მოწონება/დაბალი ხარისხის სწავლება. დასაქმების შესახებ 18%-მა მიუთითა, ხოლო ოჯახური მდგომარეობა (მაგ. მცირეწლოვანი ბავშვის ყოლა, დაოჯახება და სხვ.) 16%-სთვის აღმოჩნდა სწავლის შეწყვეტა/მიტოვების შესახებ ფიქრის საფუძველი. ყველა სხვა მიზეზების დასახელების სიხშირე კი, არ აღემატება 9%-ს.

გრაფიკი #2 პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე?




პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში სწავლის შეწყვეტის/მიტოვების განწყობის თვალსაზრისით სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა - ქალებისა და მამაკაცების თითქმის თანაბარი რაოდენობა, შესაბამისად 8% და 6%, აცხადებს, რომ უფიქრია სწავლის მიტოვებაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალების შემთხვევაში სწავლის შეწყვეტის მოტივატორი მეტწილად ოჯახური მდგომარეობა და უბრალოდ არ მოწონება/დაბალი ხარისხის სწავლებაა, ხოლო მამაკაცები უმეტესად დასაქმებას და სხვა პროფესიით დაინტერესებას ასახელებენ.

გრაფიკი #3 რა იყო მიზეზი, რის გამოც ფიქრობდით სწავლის შეწყვეტას?




გამოკითხულთა 18%-ის განცხადებით, ახლა რომ აზარებდეს აღარ აირჩევდა იგივე პროფესიას, და მათგან თითქმის ნახევრის (48%) მიერ მიზეზად დასახელდა სხვა პროფესიით დაინტერესება. 27%-მა აღნიშნა, რომ ვერ დასაქმდა აღნიშნული პროფესიით, სხვა მიზეზების დასახელების სიხშირე კი შედარებით დაბალია და არ აღემატება 9%-ს. ხსენებული მაჩვენებლები იდენტურია 2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების.

გრაფიკი #4 ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?




გრაფიკი #5 რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას?




პროფესიულ სასწავლებელთან მიმართებაში უკმაყოფილებას გამოთქვამს ყოველი ათი გამოკითხულიდან ერთი კურსდამთავრებული (11%) და ხელახლა ჩაბარების შემთხვევაში, აღარ აირჩევდა იგივე სასწავლებელს. მათგან ნახევარი (50%) ასახელებს სწავლების დაბალ დონეს, ყოველი მეოთხე (25%) პრაქტიკის კომპონენტის დაბალ დონეს, ხოლო 19%-სთვის მასწავლებლების არაკვალიფიციურობაა იგივე პროფესიულ სასწავლებელზე უარის თქმის საფუძველი. აღსანიშნავია რომ, ზემოთ ხსენებული მონაცემების შედარებითი ანალიზიც, 2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევასთან, იდენტურ სურათს იძლევა.

გრაფიკი #6 ახლა რომ აბარებდით, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს?



გრაფიკი #7 რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიულ სასწავლებელს? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)







act

პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მუშაობდა გამოკითხულთა 38%. თვითდასაქმებული იყო 12%, ხოლო უმუშევარი 29%. დარჩენილი 27% სწავლით იყო დაკავებული. რაც შეეხება უშუალოდ სწავლის პერიოდში მათ საქმიანობას, ნახევარზე მეტი (55%) არ მუშაობდა სწავლის პარალელურად, 21% ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, 16% სრულ განაკვეთზე, ხოლო პერიოდულად (სეზონურად) 7%.

გრაფიკი # 8 რას საქმიანობდით პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში?




გრაფიკი # 9 მუშაობდით თუ არა პროფესიულ პროგრამაზე სწავლის პერიოდში?




რაც შეეხება პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ განხორციელებულ აქტივობას, გამოკითხულთა თანაბარმა რაოდენობამ განაცხადა, რომ გააგრძელა მუშაობა იქ სადაც მანამდე მუშაობდა (30%) და საერთოდ არ დაუწყია მუშაობა (30%). 1 თვეზე ნაკლებ პერიოდში დასაქმდა 11%, ხოლო 1 დან 3 თვემდე პერიოდში - 15%. კურსდამთავრებულთაგან ყველაზე დიდ ნაწილს (44%) არავისგან არ მიუღია რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით. 24%-მა განაცხადა, რომ იმ პროფესიული სასწავლებლიდან მიიღო რჩევა, რომელიც დაამთავრა, ხოლო 22%-მა ნაცნობი/მეგობარი/ოჯახის წევრი -ს შესახებ მიუთითა,

გრაფიკი # 10 პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?



გრაფიკი # 11 რომელი დაწესებულებისგან მიიღეთ რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით




4.2 მიმდინარე საქმიანობა

კვლევის შედეგების მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა შრომით საქმიანობაშია ჩართული: მათგან ნახევარზე მეტი (52%) დაქირავებით დასაქმებულია, ყოველი მეათე (11%) კი თვითდასაქმებულია. გამოკითხულთაგან თითქმის მესამედი (31%) დაუსაქმებელია. 8% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 3% - პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.


დასაქმების კუთხით, გამოკითხულ მამაკაცებში უკეთესი მდგომარეობაა და მათგან 59%-მა განაცხადა, რომ დაქირავებით დასაქმებულია, მაშინ როდესაც ქალების 43%-ია დაქირავებული მუშაკი. დაუსაქმებლობის შესახებ მიუთითა ყოველმა მეოთხე გამოკითხულმა მამაკაცმა (25%), ხოლო ქალ რესპონდენტებში ხსენებული მაჩვენებელი შედარებით მაღალია (38%). რაც შეეხება თვითდასაქმებას, ამ კუთხით სქესის ჭრილში მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოკვეთილა (მამაკაცების 11% და ქალების 10% აღიქვავს თავს თვითდასაქმებულად).

გრაფიკი # 12 მიმდინარე საქმიანობა




მათ შორის, ვინც მიმდინარე ეტაპზე სწავლობს უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე (ჯამში გამოკითხულთა 8%), უმრავლესობა (61%) აღნიშნავს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა არ არის დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან. მთლიანად ან ნაწილობრივი კავშირის შესახებ კი, გამოკითხულთა შესაბამისად 21% და 17%-მა მიუთითა.

გრაფიკი #13 სპეციალობა [რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეუფლებით] არის თუ არა დაკავშირებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან? [რესპონდენტები, რომლებიც სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრძელებენ]



იმ კურსდამთავრებულებში (35 რესპონდენტი), რომელთაც აღნიშნეს, რომ მათი ამჟამინდელი სპეციალობა საერთოდ არ არის კავშირში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან, პროფილის შეცვლის ძირითად მიზეზად ახალი ინტერესის გაჩენა გამოვლინდა (11 რესპონდენტი).


გრაფიკი #14 გთხოვთ, გვითხრათ სწავლის პროფილის შეცვლის მიზეზი: [რესპონდენტები, რომლებიც სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრძელებენ]



როგორც უკვე აღინიშნა, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 4% (28 რესპონდენტი) აგრძელებს სწავლას პროფესიულ სასწავლებელში/ ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. მათგან მხოლოდ 10 რესპონდენტი აცხადებს, რომ სპეციალობა, რომელზეც ამჟამად სწავლობს მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია წინა სასწავლო პროგრამაზე მიღებულ სპეციალობასთან. უმრავლესობამ (18 რესპონდენტი) შეიცვალა პროფილი, რის მიზეზებს შორისაც, ამ შემთხვევაშიც, უმთავრესად ინტერესის ცვლილება/ახალი ინტერესის გაჩენა გამოვლინდა.


გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი ნაწილი (52%, 351 რესპონდენტი) დაქირავებით დასაქმებულია და მათგან უმრავლესობა (66%) კერძო სექტორში მუშაობს, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებში მესამედია (32%) დასაქმებული.

გრაფიკი # 15 რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას (85%) სამუშაო პროცესში ჩაბმის მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ დასჭირდა, დარჩენილ 15%-ს მოუწია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და უმეტეს შემთხვევაში დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) გადასვლა დასაქმების მიზნით.

გრაფიკი # 16 დასაქმებისთვის მოგიწიათ თუ არა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (47%) აღნიშნავს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ საქმიანობასთან, მეხუთედისთვის (20%) ნაწილობრივ კავშირშია, ხოლო მესამედისთვის (34%) არანაირი კავშირი არ არსებობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასა და მიმდინარე საქმიანობას შორის.

გრაფიკი # 17 დაკვირვებულია თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




არაპროფილურად დასაქმებულთა შორის, ყველაზე მეტი გამოკითხული (29%) მიზეზად საკუთარ პროფესიაზე დაბალ მოთხოვნას ასახელებს, მეხუთედისთვის (25%) შემოთავაზებული ხელფასია დაბალი, ხოლო 19% აცხადებს, რომ საკუთარ პროფესიაში არ აქვს საკმარისი გამოცდილება. თანაბარმა რაოდენობამ მიუთითა დაინტერესების არქონისა (8%) და საკმარისი ცოდნის ნაკლებობის (8%) შესახებ, ხოლო ცალკე აღებული ყველა „სხვა“ მიზეზის დასახელების სიხშირე არ აღემატება 3%-ს და ჯამურად 8%-ს შეადგენს.

გრაფიკი # 18 გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? [არაპროფილურად დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტმა (57%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, 40%-ს დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ნათესავი ან ოჯახის წევრი, ხოლო გამოკითხულთა თანაბარ რაოდენობას დაეხმარა კოლეჯი (15%) და სამსახური შესთავაზეს იქ სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას (15%).

გრაფიკი # 19 სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ვერსიები [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]




დაქირავებით დასაქმებულთაგან მეოთხედი (24%) სამუშაო ხელშეკრულების გარეშე არის ჩაბმული შრომით ურთიერთობებში. რაც შეეხება ხელშეკრულების ხანგრძლივობას მათთვის, ვისაც დამსაქმებლებთან ურთიერთობა იურიდიულად აქვთ გაფორმებული, ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა ერთწლამდე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობა (30%) და უვადო სამუშაო ხელშეკრულების ქონა (25%). საშუალო სამუშაო საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში კი 51 საათია.

გრაფიკი # 20 გთხოვთ, გვითხრათ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]



დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 3%-ის ხელფასი 200 ლარზე ნაკლებია, 200 დან 500 ლარამდე მიუთითა 41%-მა, 501 დან 800 ლარამდე ანაზღაურება 28%-ს აქვს, ხოლო 22%-ის განცხადებით მათი ხელფასი 801 ლარზე მეტია. 6%-მა უარი განაცხადა ხელფასის დასახელებაზე, რაც შეეხება ყველა დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საშუალო ხელფას იგი 686 ლარია. აქ აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მამაკაცების საშუალო ხელფასი უფრო მაღალია და 782 ლარს შეადგენს, ქალების შემთხვევაში კი 535 ლარია საშუალო ანაზღაურება.


გრაფიკი # 21 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო ხელფასი (ლარებში)? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]






act

გრაფიკი # 22 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო ხელფასი (ლარებში)?
[დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები / სქესის ჭრილი]




რაც შეეხება საშუალო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციას შორის შესაბამისობას, უმეტეს შემთხვევაში (55%) ისინი თანხვედრაშია, კურსდამთავრებულთა 27% თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე საშუალო მოთხოვნები, 4% არასაკმარისად მიიჩნევს კვალიფიკაციას, ხოლო 15%-მა აღნიშნა, რომ მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული საშუაოსთან.

გრაფიკი # 23 როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და საშუალოს მოთხოვნების შესაბამისობას?
[დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]



კურსდამთავრებულთა კმაყოფილება თავიანთი სამსახურით საკმაოდ მაღალია და მხოლოდ 7%-მა აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი სამსახურით. 61% კმაყოფილია ამჟამინდელი საშუაოთი, ხოლო 32%-მა ნაწილობრივი კმაყოფილება გამოხატა.


გრაფიკი # 24 კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით? [დაქირავებით დასაქმებული რესპონდენტები]



როგორც ზემოთ აღნიშნა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველი მეათე კურსდამთავრებული (11%, 74 რესპონდენტი) თვითდასაქმებულია. მათგან მხოლოდ 5 რესპონდენტს (11%) მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სამუშაოს მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ისევე როგორც დასაქმებულთა შემთხვევაში, თვითდასაქმებულთა უმრავლესობაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს და მათგან 44%-მა მიუთითა პირდაპირი კავშირის შესახებ, მეოთხედმა (24%) ნაწილობრივი კავშირი დაადასტურა, ხოლო 32%-ის განცხადებით თვითდასაქმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არანაირ კავშირში არ არის მათ მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან.

გრაფიკი # 25 დაკავშირებულია თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]




თვითდასაქმების ფარგლებში წარმოებული საქმიანობები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, წამყვან მიმართულებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს (21%).

შრომის ანაზღაურების კუთხით, დაქირავებით დასაქმებულთა სეგმენტთან შედარებით ჯამური საშუალო ხელფასი თვითდასაქმებულებში საგრძნობლად მაღალია და 1066 ლარს შეადგენს. ამ შემთხვევაშიც მამაკაცების საშუალო ხელფასი უფრო მაღალია (1345 ლარი) ვიდრე ქალების (593 ლარი)




act

გრაფიკი # 26 თვითდასაქმების ფარგლებში, რა ტიპის მეურნეობაში ხართ ჩართული/რა ტიპის კერძო ბიზნესი გაქვთ? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]




გრაფიკი #27 დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი შინამეურნეობიდან (ლარებში)? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]




თვითდასაქმებულთა ნახევარმა (49%) განაცხადა, რომ ჰქონდა სურვილი საკუთარი ბიზნესის დაწყების, მესამედმა (33%) კი აღნიშნა, რომ სამსახურის ვერშოვნის გამო გადაწყვიტა თვითდასაქმებულობა.

გრაფიკი #28 რატომ გადაწყვიტეთ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება? [თვითდასაქმებულო რესპონდენტები]



იმ კურსდამთავრებულებში, რომელთაც აქვთ საკუთარი ბიზნესი, მისი წამოწყების მთავარ მიზეზებად დაასახელეს საკუთარი ბიზნესის ქონის უპირატესობა (46%), შესაბამისი პროფესიული განათლების ქონა (46%) და სხვადასხვა ტიპის რესურსის ქონა (37%).

გრაფიკი #29 რატომ გინდოდათ, რომ გქონოდათ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი? [თვითდასაქმებულო რესპონდენტები]




თვითდასაქმებულთა უმრავლესობა (61%) აღნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საქმიანობასთან, 19%-ის აღქმით კვალიფიკაცია უფრო მაღალი აქვთ ვიდრე მოთხოვნები, 5% არ მიიჩნევს საკუთარ კვალიფიკაციას საკმარისად, ხოლო საქმიანობასა და კვალიფიკაციას შორის კავშირის არქონის შესახებ თვითდასაქმებულთა 15%-მა მიუთითა.




act

გრაფიკი # 30 როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და საკუთარი ბიზნესის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისობას? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]



კმაყოფილების კუთხით, 75% სრულ კმაყოფილებას გამოხატავს, 22% ნაწილობრივ კმაყოფილია, ხოლო 3% არ არის კმაყოფილი საკუთარი შინამეურნეობა/ბიზნესი-ს ქონით.

გრაფიკი #31 კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რომ გაქვთ შინამეურნეობა/საკუთარი ბიზნესი? [თვითდასაქმებული რესპონდენტები]




კვლევის ფარგლებში, მიმდინარე საქმიანობად, სტაჟირება/შეგირდად მუშაობა მიუთითა გამოკითხულთაგან მხოლოდ 7-მა კურსდამთავრებულმა. მათგან 3 კერძო დაწესებულებაშია, ხოლო 4 სახელმწიფოში. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით საქმიანობს 2 მათგანი, დარჩენილი 5 კურსდამთავრებულის საქმიანობა კი არანაირ კავშირში არ არის მიღებულ სპეციალობასთან და დამოუკიდებლად შეძლეს სტაჟიორად/შეგირდად მუშაობის დაწყება. 4 მათგანი იღებს ანაზღაურებას, საკუთარი საქმიანობით უკმაყოფილება კი არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 31% (228 რესპონდენტი) ამჟამად დაუსაქმებელია და მათი უმრავლესობა (62%) ეძებს სამუშაოს. იმ კურსდამთავრებულებში, ვინც ეძებენ სამსახურს 41% აცხადებს, რომ შემოთავაზებული ხელფასი დაბალია, 26% არასაკმარის გამოცდილებას ასახელებს სამუშაოს ვერშოვნის მიზეზად, 22% თვლის რომ მათ პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა, ხოლო მეხუთედი (20%) ძირითადი უნარების არქონას უსვამს ხაზს.




act

გრაფიკი # 32 როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს? [დაუსაქმებელი რესპონდენტები]



დაუსაქმებელთა დარჩენილი 38% (88 რესპონდენტი) არ ცდილობს სამუშაოს დაწყებას და უმთავრეს მიზეზებად ასახელებენ; ოჯახური პირობების არქონას (49%), სწავლის გაგრძელებას (17%) და სამსახურის მოძებნის სურვილის არქონას (14%).


გრაფიკი # 33 რატომ არ ეძებთ სამუშაოს [დაუსაქმებელი რესპონდენტები]



4.3 სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება


ჩატარებული კვლევის ფარგლებში აგრეთვე შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმები. როგორც აღმოჩნდა, კურსდამთავრებულთა 46% გეგმავს სწავლის გაგრძელებას, მესამედი (33%) არ გეგმავს, ხოლო მეხუთედს (20%) ჯერ არ გადაუწყვეტია.

გრაფიკი # 34 გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას?




იმ ცოდნასა და უნარებში, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ კურსდამთავრებულები, ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდა უცხო ენის ცოდნა (91%), პროფესიული პრაქტიკული უნარები (88%) და პროფესიის თეორიული ცოდნა (84%)

გრაფიკი # 35 ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას?



პროფესიული განათლების მიღების შემდეგ დამატებითი ტრენინგები გაიარა გამოკითხულთა 23%-მა (170 კურსდამთავრებული) და როგორც აღმოჩნდა მათგან უმრავლესობამ (32%) ტრენინგი გაიარა სხვადასხვა ტიპის კერძო კომპანიებში, რომელთანაც შეხება ქონდათ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.

გრაფიკი #36 ტრენინგის სახელწოდება/შინაარსი




რაც შეეხება პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებს, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ რესპონდენტები, ამ კუთხით დასაქმებაზე ზრუნვა დასახელდა ყველაზე მაღალი სიხშირით და კურსდამთავრებულთა 76%-მა მიუთითა, რომ ხსენებული ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას. გამოკითხულთა აზრით, გაუმჯობესებას აგრეთვე საჭიროებს პრაქტიკული კურსები (62%), საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა (47%) სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა (45%) და სწავლების ხარისხი (41%). ხსენებული ასპექტების გაუმჯობესების საკითხი 2017 წლის კურსდამთავრებულთათვისაც ყველაზე აქტუალური იყო და მათგან 84%-მა დასაქმებაზე ზრუნვა დაასახელა, 69%-მა პრაქტიკული კურსები, ხოლო თანაბარმა 57%-მა საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა და სწავლების ხარისხი.




act

გრაფიკი #37 ახლა ჩამოვითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას?



რაც შეეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების ზეგავლენას სამუშაოს დაწყების პროცესზე, 62%-ის აზრით, პროფესიული განათლების მიღება დასაქმების კარგი წინაპირობაა, ნაწილობრივ იზიარებს ამავე მოსაზრებას კურსდამთავრებულთა მესამედი (33%), ხოლო 6% ფიქრობს, რომ პროფესიული განათლების მიღება არ ახდენს გავლენას დასაქმების შესაძლებლობებზე.

გრაფიკი #38 თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას?




4.4 კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად და შესაბამისად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მთლიანი სურათის მიღების მიზნით, შეიქმნა დასაქმების კომბინირებული ცვლადი, რომელიც აერთიანებს დაქირავებით დასაქმებულ, თვითდასაქმებულ და სტაჟიორ/შეგირდ (ანაზღაურებადი სტაჟირება) კურსდამთავრებულებს. მიღებული ცვლადის საფუძველზე შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და სქესს, ასაკს, წინმსწრებ განათლებას, საგანმანათლებლო მიმართულებებს და ა.შ. შორის არსებული მიმართებები.


2018 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელია 62%. მათ შორის, ქალი გამოკითხული რესპონდენტებიდან 54%-ია დასაქმებული, ხოლო მამაკაცებში დასაქმება უფრო მაღალია და 70%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დასაქმების მთლიან მაჩვენებელს მზარდი ტენდენცია ახასიათებს 2016 წლიდან დღემდე.

გრაფიკი #39 დასაქმების მაჩვენებლის დინამიკა




ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (73%) დაფიქსირდა 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ყველაზე დაბალი კი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში (42%).

გრაფიკი #40 დასაქმების მაჩვენებელი ასაკობრივ ჯგუფში



რაც უფრო მაღალია კურსდამთავრებულთა განათლების წინმსწრები დონე, მით უფრო მეტია დასაქმებულთა რაოდენობა. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა საბაზისო განათლების მქონე პირებში (44%), დასაქმების მაჩვენებელი განათლების საფეხურის შესაბამისად იზრდება და საშუალო განათლების შემთხვევაში - 59%-ია, პროფესიული განათლების შემთხვევაში - 60%, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 77%-ია დასაქმებული.

გრაფიკი #41 დასაქმების მაჩვენებელი წინმსწრები განათლების ჯგუფში



დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა იმერეთის რეგიონში (71%), მას შემდეგ კი დედაქალაქ თბილისსა (67%) და აჭარის რეგიონში (62%). საერთო ჯამში, დასაქმების მაჩვენებელი არცერთ რეგიონში არ არის 46%-ზე ნაკლები, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რიგ რეგიონებში, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მცირე წარმომადგენლობების გამო, მიღებული მონაცემების განზოგადება არ არის რეკომენდირებული.

ცხრილი #3 დასაქმების მაჩვენებელი რეგიონის ჭრილში

	დასაქმებული	
	N	%
აჭარა	57	62%
თბილისი	144	67%
იმერეთი	46	71%
კახეთი	27*	46%
მცხეთა-მთიანეთი	8*	76%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3*	100%
სამეგრელო ზემო-სვანეთი	29*	43%
სამცხე-ჯავახეთი	30*	62%
ქვემო ქართლი	30*	67%
შიდა ქართლი	32	61%
გურია	19*	57%

* მონაცემთა სიმცირის გამო შედეგების განზოგადება რეკომენდებული არ არის

რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით დასაქმების მაჩვენებლს, სხვა ჯგუფებთან შედარებით დასაქმება მაღალია ინჟინერიის (65%), აგრარული მეცნიერებების (64%) და ბიზნესის ადმინისტრირების (62%) კურსდამთავრებულებს შორის.

ცხრილი #4 დასაქმების მაჩვენებელი მიმართულების ჭრილში

	დასაქმებული	
	N	%
აგრარული მეცნიერებანი	57	64%
ბიზნესის ადმინისტრირება	56	62%
განათლება	30*	67%
ინჟინერია	98	65%
მეცნიერება საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	7*	70%
მიმართულებათა შორისი დარგები ან სპეციალობები	61	65%
სამართალი	7*	58%
სოციალური მეცნიერებები	18*	78%
ხელოვნება	46	50%
ჯანდაცვა	45	49%

* მონაცემთა სიმცირის გამო შედეგების განზოგადება რეკომენდებული არ არის

დასკვნა

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას აძლევს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე დროითი მონაკვეთების ჭრილში.

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიან მაჩვენებელს მზარდი ტენდენცია ახასიათებს და 2018 წლის კურსდამთავრებულთა შემთხვევაში 62% შეადგინა. ხსენებული მაჩვენებელი 2017 წლისთვის 60% იყო, ხოლო 2016 წელს - 56%.

დასაქმების მაჩვენებელი განსხვავდება კურსდამთავრებულთა ასაკის, სქესის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და წინმსწრები განათლების მიხედვით. მსგავსად 2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებისა, პროფესიული განათლების მიღებით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი ამჯერადაც ახალგაზრდები არიან, თუმცა დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში. სქესი მიხედვით დასაქმებულთა შორის უმრავლესობა მამაკაცია. გამოკითხულ მამაკაცთა 70% აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, ხოლო ქალი რესპონდენტებიდან 54%-ია დასაქმებული. აგრეთვე დაუსაქმებელი ქალების თითქმის ნახევარმა (48%) აღნიშნა, რომ არ ეძებს სამუშაოს, მაშინ როდესაც მამაკაცებში ხსენებული მაჩვენებელი 24%-ია. დაუსაქმებელი ქალების იმ ნაწილმა, ვინც მიუთითა რომ არ ეძებს სამუშაოს, მთავარ მიზეზად დაასახელა შესაბამისი ოჯახური პირობების არქონა (68%).

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას, თუმცა აღნიშნავს, რომ დასაქმებაზე ზრუნვა და პრაქტიკული კურსები გაუმჯობესებას საჭიროებენ.